NEWSLETTER (January, 2015)

გიორგი კლდიაშვილის წინააღმდეგ სისხლის სამართლებრივი დევნა შეწყდა

IDFI-ის დირექტორის, გიორგი კლდიაშვილის უკანონო დაკავების ფაქტზე ინსტიტუტმა გამოაქვეყნა განცხადება, სადაც აღნიშნა, რომ უკანონოდ მიიჩნევს გიორგი კლდიაშვილი დაკავებას.

IDFI-მ სამართალდამცავ ორგანოებს სამოქალაქო საზოგადოების აქტიურ პირებზე ზეწოლის შეწყვეტისკენ მოუწოდა.

15 იანვარს, სასამართლოს გადაწყვეტილებით გიორგი კლდიაშვილის წინააღმდეგ სისხლის სამართლებრივი დევნა შეწყდა. პროკურორის მიერ წარმოდგენილი ძირითადი მტკიცებულებების დიდი ნაწილი მოსამართლემ დაუშვებლად სცნო. კლდიაშვილის უფლებებს საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ადვოკატები, ლევან ვეფხვაძე და მაია ხუციშვილი იცავდნენ.

პროკურატურის მიერ თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრების შემდეგ ,სააპელაციო სასამართლომ 23 იანვარის გადაწყვეტილებით, არ დააკმაყოფილა პროკურატურის სარჩელი, შესაბამისად, უცვლელად დატოვა პირველი ინსტანციის სასმართლოს გადაწყვეტილება გიორგი კლდიაშვილის სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ.

26 იანვარს, გიორგი კლდიაშვილმა გამართა პრესკონფერენცია, სადაც ისაუბრა მისი საქმის დეტალებზე და გააკეთა რამდენიმე მნიშვნელოვანი განცხადება. მან აღნიშნა, რომ აუცილებლად მოითხოვს მორალური ზიანის ანაზღაურებას და იმის გამოძიებას, თუ როგორ მოხდა ბრალდების მხარის მიერ მტკიცებულებათა მოპოვება.

თბილისის მერიის 2013-2014 წლების ხარჯები

2014 წლის 5 ნოემბერს IDFI-იმ ქალაქ თბილისის მერიას მიმართა სხვადასხვა სახის საჯარო ინფორმაციის მოთხოვნით. მიღებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით ინსტიტუტმა წარმოადგინა მონაცემების ანალიზი.

სასამართლომ დააკმაყოფილა IDFI-ს სარჩელი შსს–ს წინააღმდეგ

2014 წლის 24 დეკემბერს თბილისის საქალაქო სასამართლომ სრულად დააკმაყოფილა IDFI–ს სარჩელი შინაგან საქმეთა სამინისტროს წინააღმდეგ. შედეგად, სამინისტროს დაეკისრა ვალდებულება სრულყოფილად მიაწოდოს ინსტიტუტს ინფორმაცია 2013 წელს მინისტრის, მინისტრის მოადგილეებსა და დეპარტამენტის უფროსებზე დარიცხული პრემიებისა და დანამატების შესახებ თვეების მიხედვით, ცალ–ცალკე სახელისა და გვარის მითითებით.

კოალიციამ დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისათვის რამდენიმე განცხადება გააკეთა

კოალიცია დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისათვის, რომლის ერთ-ერთი წევრია IDFI, გამოეხმაურა უზენაესი სასამართლოს ახალი თავმჯდომარის შერჩევის საკითხს; ასევე, კოალიცია არ დაეთანხმა ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს განსჯადობის შემცირების ინიციატივას და მოუწოდა პარლამენტის წევრებს, წარმოადგინონ დამატებითი დასაბუთება და ინფორმაცია შემოთავაზებულ ინიციატივასთან დაკავშირებით.

არასამთავრობო ორგანიზაციები პარლამენტს მოუწოდებენ, გახმაურებული საქმეების შესასწავლად კომისია შექმნას

მაღალი საზოგადოებრივი მნიშვნელობის საქმეების შესახებ, მათ შორის იური ვაზაგაშვილის გარდაცვალების საქმეზე, არასამთავრობო ორგანიზაციები ითხოვენ მიუკერძოებელი და ობიქტური გამოძიების ჩატარებას და გამოდიან პარლამენტში საგამოძიებო კომისიის შექმნის ინიციატივით.

IDFI მიესალმება ფინანსთა სამინისტროს პროაქტიული გამჭვირვალობის ახალ ინიციატივას

IDFI მიესალმება საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ვებ-გვერდზე განყოფილება „მიიღე მონაწილეობა გამოკითხვაში“ განთავსებას, რომელიც მომხმარებელს საშუალებას აძლევს გაუზიაროს საკუთარი შეხედულება სამინისტროს და მიუთითოს თუ რა სახის დამატებით ინფორმაციის ხილვა სურს ვებ–გვერდზე.

პროექტ საქართველო 2020-ის ფარგლებში ჩატარებული აქტივობები

პროექტ საქართველო2020-ის ფარგლებში IDFI-მ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან, გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტთან, ჯიპასა და იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის უნივერსიტეტთან თანამშრომლობით, გერმანიის საელჩოს დაფინანსებითა და ბრემენის უნივერსიტეტის მხარდაჭერით ჩაატარა არაერთი სალექციო კურსი.

15 იანვარს პროექტის ფარგლებში გაიმართა დისკუსია „საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის პროგრამა და მისი გამოწვევები საქართველოში“. ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღეს სახელმწიფო, საერთაშორისო, პოლიტიკური და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა და დარგის სხვა სპეციალისტებმა.

კიდევ ერთი დისკუსია, რომელიც იანვრის თვეში გაიმართა, დაგროვებითი საპენსიო სისტემისა და განვითარებული საფონდო ბირჟის შესახებ იყო.
დისკუსიაში მონაწილეობას იღებდნენ სახელმწიფო, საერთაშორისო, პოლიტიკური და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები და დარგის სხვა სპეციალისტები, მათ შორის მსოფლიო ბანკის წარმომადგენლებიც. ძირითადმა სპიკერებმა სხვადასხვა მნიშვნელოვან საკითხზე გაამახვილეს ყურადღება.

Institute for Development of Freedom of Information (IDFI)
ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI)

INSTITUTE FOR DEVELOPMENT OF FREEDOM OF INFORMATION
IDFI

Address: 3, Griboedov Street, Tbilisi, 0108, Georgia.
Contact: info@idfi.ge | 00 995 322 921514
Web: www.idfi.ge | www.opendata.ge | Research